# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
# ო ქ მ ი №01-06/16

**დაბა ქედა,** **17 ნოემბერი, 2023 წელი.**

**სხდომა დაიწყო: 12:10 საათზე.**
**სხდომა დამთავრდა: 12:40 საათზე.**

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 15 ესწრებოდა.

**სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე** - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ზარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;,
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**

ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/16 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

17 ნოემბერი, 2023 წელი

| № | სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ამირან ცინცაძე | საკრებულოს თავმჯდომარე | |
| 2 | რომან დავითაძე | თავმჯდომარის I მოადგილე | |
| 3 | რეზო თურმანიძე | თავმჯდომარის მოადგილე | |
| 4 | არჩილ გორგილაძე | თავმჯდომარის მოადგილე | |
| 5 | ამირან წულუკიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 6 | ლევან ბერიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 7 | ოთარ ხარაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 8 | მერაბ ნაკაშიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 9 | ვაჟა აბულაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 10 | ლევან ვერძაძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 11 | დავით სირაბიძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 12 | მამუკა გოგოლიშვილი | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 13 | ჯიმშერ სამნიძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 14 | მარინა ბარამიძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 15 | გოჩა გორგილაძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 16 | ირაკლი მახარაძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 17 | მზია ბოლქვაძე | საკრებულოს წევრი | |
| 18 | შორენა კარანაძე | საკრებულოს წევრი | |
| 19 | მინდია არძენაძე | საკრებულოს წევრი | |
| 20 | გოჩა ქელენტი | საკრებულოს წევრი | |
| 21 | ჯემალ დავითაძე | საკრებულოს წევრი | |

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 ნოემბრის №01-06/16 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

**1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებელი:** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 15**
**წინააღმდეგი - 0**

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

**დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 ნოემბრის №01-06/16 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი პროექტი.**

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პარტია „საქართველოსათვის" ქედის საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ გააკეთა განცხადება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლინიკა ევექსის შესახებ, კერძოდ: ქედის საავადმყოფო წლების განმავლობაში აჭარის მაღალმთიანი ზონის კლინიკებიდან გამოირჩეოდა სრულფასოვანი სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურებით, ამჟამად საავადმყოფო განიცდის სხვადასხვა პროფესიის კადრების მკვეთრ დეფიციტს, რაც შეუძლებელს ხდის მოსახლეობისათვის ადგილზე მომსახურების დროულ სამედიცინო დახმარებას.

დღეის მდგომარეობით საავადმყოფო გადაიქცა ამბულატორიად, საიდანაც ჰოსპიტალიზაციის საჭიროების შემთხვევაში პაციენტები იგზავნიან ქალაქ ბათუმის სხვადასხვა კლინიკებში, რაც ჯამრთელობისათვის ქმნის სხვადასხვა სახის რისკებს, მათ შორის შესაძლოა სერიოზული გართულებები. სახელმწიფოს მიერ კი ხდება ზედმეტი ხარჯის გაწევა ტრანსპორტირებაზე.

ამის შემდეგ საკრებულოს სხდომის წევრებს მიმართა წინადადებით შესწავლილ იქნას სრული ფუნქციონირებისათვის ქედის საავადმყოფოს საკადრო და ინფრასტუქტურული საკითხები და ბიუჯეტში გავალისწინებული იქნას საკმარისი თანხა, რათა საავადმყოფომ კვლავ დაიბრუნოს სტაციონარული დაწესებულების ფუნქცია.

კერძოდ: მოიძებნოს, პირველ რიგში ადგილობრივი სტუდენტები, რომლებიც წელს ამთავრებენ სამედიცინო უნივერსიტეტს, ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაუფინანსდეთ რეზიდენტურაში სწავლის საფასური ქედის საავადმყოფოსათვის აუცილებელი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც დასაქმდებიან რეზიდენტურის დამთავრების შემდეგ ქედის საავადმყოფოში (არანაკლებ ხუთი წლის ვადით, სადაც გაუფორმდებათ შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაფინანსებული თანხის ოდენობას დააბრუნებენ ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ).

ამ გზით შეიძლება საავადმყოფოს სრული ფუნქციონირებისათვის საჭირო კადრების მოზიდვა.

ამირან ცინცაძემ წინადადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს იურიდიული უფლება ქედის საავადმყოფოს ,,ევექსი"-ს კლინიკის საქმიანობაში ჩარევის. რეზიდენტების მოწვევასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სურვილის არქონის შემთხვევაში რთულია ვინმეს აიძულო მუშაობა მუნიციპალიტეტში და სტუდენტებს, რომლებსაც არ ექნებათ სერთიფიკატი, ნაკლებად სასურველი კადრი იქნება ,,ევექსი"-ს კლინიკისათვის. აღნიშნა, რომ იდეა კარგი იყო, თუმცა მის განხორციელებას დრო და კარგი შესწავლა სჭირდებოდა.

შემდეგ მიმართა ჯემალ დავითაძეს მათი მოსაზრების შესახებ წარმოედგინათ სამართლებრივი ხასიათის ინიციატივა და საკრებულო განიხილავდა უფლებამოსილების ფარგლებში.

**1. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა, ამირან წულუკიძემ საკრებულოს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე (წერილის ნომერი 12-95233192-95, 15.15.2023 წელი) საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ. №3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის თარიღი განისაზღვროს 2023 წლის 20 ნოემბრის 13 საათით (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სააქტო დარბაზი).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლებათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის 21 ნოემბრის დღის 18:00 საათამდე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

საკრებულოს დარგობრივი კომისიები და საკრებულოს ფრაქციები ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე თავის დასკვნას საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას წარუდგენენ არაუგვიანეს 2023 წლის 22 ნოემბრისა.

საკრებულოს დარგობრივი კომისიები და საკრებულოს ფრაქციები ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე სხდომებს გამართავენ 2023 წლის შემდეგი გრაფიკით:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია - 2023 წლის 22 ნოემბერი; 11:00 საათი;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია - 2023 წლის 22 ნოემბერი; 12:00 საათი;

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია - 2023 წლის 22 ნოემბერი; 14:00 საათი;

სოციალურ საკითხთა კომისია - 2023 წლის 22 ნოემბერი; 15:00 საათი.

ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია 24 ნოემბერს 12:00 საათზე ჩაატარებს გაფართოებულ სხდომას.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2023 წლის 26 დეკემბერს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 29 დეკემბერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს მომხსენებლის მიერ გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 15**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**
**(განკარგულება N:გ-95.95233001, 17.11.2023 წელი).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:40 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე:** **ამირან ცინცაძე**

**ოქმი შეადგინა:**
**საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა**
**და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი**
**სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში** **ნონა თებიძე**